

შპს „ელიტ რეზიდენსი“
434173333

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით

შპს „ელიტ რეზიდენსი“

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	1
მოგება ზარალის და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება	2
განმარტებითი შენიშვნები	3-9
დასკვნის ბოლო გვერდი	9

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

<u>აქტივები</u>	<u>შენ.</u>	<u>31-დეკ-2024</u>	<u>31-დეკ-2023</u>
მიმდინარე აქტივები			
მარაგი	4	3,263,867	4,496,746
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები		1,380	45
სულ მიმდინარე აქტივები		3,265,247	4,496,791
 გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		264	330
სულ გრძელვადიანი აქტივები		264	330
სულ აქტივები		3,265,511	4,497,121
 ვალდებულებები და კაპიტალი			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	5	2,841,000	2,841,000
სულ კაპიტალი		2,841,000	2,841,000
 მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6	149,016	58,998
საგადასახადო ვალდებულებები		20,219	189,407
მოკლევადიანი სესხები	7	255,276	1,407,716
სულ მიმდინარე ვალდებულებები		424,511	1,656,121
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		3,265,511	4,497,121

ხელმოწერილი პირი:

დირექტორი:

27 ნოემბერი, 2025 წ.

მარნეული, საქართველო

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აქტივები	შენ.	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
მიმდინარე აქტივები			
მარაგი	4	3,263,867	4,496,746
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები		1,380	45
სულ მიმდინარე აქტივები		3,265,247	4,496,791
 გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები		264	330
სულ გრძელვადიანი აქტივები		264	330
სულ აქტივები		3,265,511	4,497,121
 ვალდებულებები და კაპიტალი			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	5	2,841,000	2,841,000
სულ კაპიტალი		2,841,000	2,841,000
 მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6	149,016	58,998
საგადასახადო ვალდებულებები		20,219	189,407
მოკლევადიანი სესხები	7	255,276	1,407,716
სულ მიმდინარე ვალდებულებები		424,511	1,656,121
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		3,265,511	4,497,121

ხელმოწერილი პირი:

დირექტორი:

27 ნოემბერი, 2025 წ.

მარნეული, საქართველო

2024 წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

	შენ.	2024 წელი	2023 წელი
ამონაგები	8	2,494,915	1,991,791
გაყიდული საქონლის თვითღირებულება	9	(1,875,844)	1,442,798)
საერთო მოგება		619,071	548,993
საოპერაციო ხარჯები			
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		(4,257)	(40,852)
საოპერაციო მოგება		614,814	508,141
სხვა შემოსავლები		41,886	-
მოგება ზარალი დაბეგრამდე		656,700	508,141
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი		656,700	508,141
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი) საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		-	(161,250.00)
გამოცხადებული დივიდენდები		(656,700.00)	(346,891.00)
პერიოდის შედეგი		656,700	508,141.00
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი) საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		-	-

ხელმომწერი პირი:

დირექტორი:

27 ნოემბერი, 2025 წ.

მარნეული, საქართველო

2024 წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

	შენ.	2024 წელი	2023 წელი
ამონაგები	8	2,494,915	1,991,791
გაცივლი საქონლის თვითღირებულება	9	(1,875,844)	1,442,798)
საერთო მოგება		619,071	548,993
საოპერაციო ხარჯები			
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		(4,257)	(40,852)
საოპერაციო მოგება		614,814	508,141
სხვა შემოსავლები		41,886	-
მოგება ზარალი დაბეგვრამდე		656,700	508,141
საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი		656,700	508,141
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი) საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში		-	(161,250.00)
გამოცხადებული დივიდენდები		(656,700.00)	(346,891.00)
პერიოდის შედეგი		656,700	508,141.00
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი) საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		-	-

ხელმოწერილი პირი:

დირექტორი:



27 ნოემბერი, 2025 წ.

მარნეული, საქართველო

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

საფირმო სახელწოდება:	შპს ელიტ რეზიდენსი
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
საიდენტიფიკაციო ნომერი:	434173333
რეგისტრაციის თარიღი:	01/08/2018
მარეგისტრირებული ორგანო:	სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქალაქი მარნეული, შოთა რუსთაველის ქუჩა, N 74.

ხელმძღვანელობა/წარმომადგენლობა
დირექტორი - ფუად მამედოვი ს/ნ 10001017759.

მესაკუთრეები
37.5%-იანი წილის მფლობელი - ფუად მამედოვი ს/ნ 10001017759
62.5%-იანი წილის მფლობელი - ფიალ გასანოვი ს/ნ 28001032929

შპს „ელიტ რეზიდენსი“-ს იურიდიული და ფაქტობრივ მისამართია ქალაქი მარნეული, შოთა რუსთაველის ქუჩა N74.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

შესაბამისობის პრინციპი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების კონცეფციის საფუძველზე, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ქვემოთ მოცემული სააღრიცხვო პოლიტიკით სხვაგვარად არის განსაზღვრული. პირვანდელი ღირებულება ზოგადად ეფუძნება საქონლისა და მომსახურების სანაცვლოდ გადახდილი ანაზღაურების რეალურ ღირებულებას.

რეალური ღირებულება არის ის ფასი, რომელსაც გაზომვის დღეს პირი მიიღებდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდიდა ვალდებულების გასხვისებითვის შესაბამის ტრანზაქციაში ბაზრის მონაწილეთა შორის იმის მიუხედავად, შეიძლება თუ არა ამ ფასზე პირდაპირ დაკვირვება ან მისი გამოთვლა შეფასების სხვა ტექნიკის გამოყენებით. აქტივის ან ვალდებულების რეალური ღირებულების გამოთვლისას კომპანია ითვალისწინებს ამ აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეები ამავე მახასიათებლებს გაითვალისწინებდნენ აღნიშნული აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას გაზომვის დღეს. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში, გაზომვის ან/და განმარტების მიზნით, რეალური ღირებულება აღნიშნულ საფუძველზე დაყრდნობით განისაზღვრება.

გარდა ამისა, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის, რეალური ღირებულების გაზომვა იყოფა 1-ელი, მე-2 და მე-3 დონის კატეგორიებად იმის მიხედვით, თუ რეალური ღირებულების რომელი კომპონენტებია დაკვირვებადი და რა მნიშვნელობის მატარებელია ეს კომპონენტები მთლიანად რეალური ღირებულების მოცულობის დადგენაში. აღნიშნული კატეგორიებია:

- ❑ 1-ელი დონის კომპონენტებს წარმოადგენს აქტიურ ბაზარზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე კოტირებული ფასები (კორექტირების გარეშე), რომელთა შეფასება პირს შეუძლია გაზომვის დღეს;
- ❑ მე-2 დონის კომპონენტებს წარმოადგენს ის კომპონენტები, რომლებიც განსხვავდება 1-ელ დონეში მოცემული კოტირებული ფასებისგან და პირდაპირ ან ირიბად დაკვირვებადია მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის; და
- ❑ მე-3 დონის კომპონენტებზე დაკვირვება მოცემული აქტივის ან ვალდებულებისათვის შეუძლებელია.

კომპანია რეგისტრირებულია საქართველოში და აწარმოებს საკუთარ აღრიცხვას ქართული კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერებიდან და შესაბამისობაშია მსს ფასს სტანდარტთან.

სამუშაო და წარსადგენი ვალუტა

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების ელემენტების საზომ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ეკონომიკურ გარემოში, სადაც კომპანია ახორციელებს საქმიანობას („სამუშაო ვალუტა“). სამუშაო ვალუტაა ქართული ლარი. ფინანსური ანგარიშგების წარსადგენ ვალუტას ასევე წარმოადგენს ქართული ლარი. ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება სამუშაო ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
1 USD/GEL	2.8068	2.6894
1 EUR/GEL	2.9306	2.9753

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

მენეჯმენტმა მოამზადა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით. აღნიშნული გადაწყვეტილების მისაღებად მენეჯმენტმა გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მიმდინარე გეგმები, კომპანიის ოპერაციების მომგებიანობა და საჭიროების შემთხვევაში ადგილობრივ ფინანსურ რესურსებზე წვდომა, ანგარიშის პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებებს კომპანია აღრიცხავს შემდეგი მოთხოვნების შესაბამისად: მსს ფასს მე-11 განყოფილება «ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები», მსს ფასს მე-12 განყოფილების «სხვა ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებული საკითხები»

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები – მოიცავს საქონლის შეძენით და მომსახურების მიღების დროს წარმოქმნილ ვალდებულებებს კონტრაგენტების წინაშე, სახელფასო ვალდებულებებს და სხვა არასავაჭრო ვალდებულებებს, რომელიც წარმოქმნილია მიმდინარე და კაპიტალური ხასიათის ოპერაციების შედეგად (გადასახადებისა და მოსაკრებლების გაანგარიშების გარდა).

კონტრაგენტი – არის ჩვეულებრივი სავაჭრო ან სხვა კაპიტალური ოპერაციების დროს გარიგებაში მონაწილე მხარე.

დებიტორული ან კრედიტორული დავალიანების ამორტიზებადი ღირებულება – არის ღირებულება, რომლითაც შეფასებულია ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება საწყისი აღიარების დროს, შემცირებული ძირითადი გადასახდელი თანხებით, დამატებული ან გამოკლებული თავდაპირველ ღირებულებასა და დაფარვის დროინდელ ღირებულებას შორის ნებისმიერი სხვაობის ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით აკუმულირებული ამორტიზაციით და გამოკლებული (უშუალოდ ან რეზერვის ანგარიშის გამოყენებით) გაუფასურების ზარალი ან ამოუღებლობის ნებისმიერი დანაკარგები.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი – განსაზღვრავს ისეთ საპროცენტო განაკვეთს, რომელიც ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივებისა თუ ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდში გადანაწილებას უზრუნველყოფს. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტებს მომავალში მისაღებ ან გადასახდელ სავარაუდო ფულად სახსრებს.

კლასიფიკაცია და დაჯგუფება

აღრიცხვის მიზნებისთვის კომპანია აღიარებს დებიტორული და კრედიტორული ანგარიშების შემდეგ კლასიფიკაციას:

- მოკლევადიანი – არის ანგარიშები, რომელთა შესაძლო დაფარვის ვადა განისაზღვრება ბალანსის შედგენის თარიღის შემდეგ 12 თვით.
- გრძელვადიანი – სხვა ყველა დანარჩენი

აღიარების კრიტერიუმები და შეფასების მეთოდები

კრედიტორული დავალიანებების საწყისი აღიარება და შეფასების კრიტერიუმები

საწარმო მხოლოდ იმ შემთხვევაში აღიარებს კრედიტორულ დავალიანებებს ფინანსურ ანგარიშგებაში, თუ საწარმო ხდება ფინანსური ინსტრუმენტის საკონტრაქტო პირობების (შეთანხმების) მონაწილე და სრულდება შემდეგი პირობები:

- არსებობს აღნიშნული ვალდებულებიდან ეკონომიკური სარგებელის გასვლის მაღალი ალბათობა;
- ვალდებულების ღირებულების შეფასება შესაძლებელია საიმედოდ.

თავდაპირველი აღიარებისას კრედიტორული დავალიანება ფასდება გარიგების ფასით, გარიგების დანახარჯების ჩათვლით.

კრედიტორული დავალიანება და სესხები შემდგომ ფასდება ამორტიზებადი ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანება ფასდება ამორტიზებადი ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

შემოსავლის აღიარება

კომპანია აღიარებს საქონლის ან მომსახურების მომხმარებლისადმი გადაცემით მიღებულ შემოსავალს იმ ოდენობით, რომელსაც ის მოელის, რომ მიიღებს მომხმარებლისადმი აღნიშნული საქონლის ან მომსახურების გადაცემის შედეგად.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება აღმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

მარაგები

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.

მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება გასაყიდ ფასსა და დამთავრებისა და გაყიდვის მოსალოდნელი ხარჯების სხვაობით.

საწესდებო კაპიტალი

საწესდებო კაპიტალის ინვესტირება აღიარდება ნომინალური ღირებულებით და კლასიფიცირდება როგორც საწესდებო კაპიტალი. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც იგი გამოცხადდება.

დივიდენდები

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკიდან გამომდინარე დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

აღიარება და შეფასება

საწარმოს მოეთხოვება აღიაროს:

- ვალდებულება მაშინ, როდესაც მომუშავემ მომსახურება გასწია მომავალში გასამრჯელოს მიღების სანაცვლოდ; და
- ხარჯი მაშინ, როდესაც საწარმო მოიხმარს იმ ეკონომიკურ სარგებელს, რომელიც მიიღო მომუშავეს მიერ გასამრჯელოს სანაცვლოდ გაწეული მომსახურებიდან.

საწარმომ მხოლოდ იმ შემთხვევაში აღარებს მოსალოდნელ ხარჯს, თუ:

- წარსული მოვლენების შედეგად საწარმოს ეკისრება ზემოთ აღნიშნული გასამრჯელოების გადახდის მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა; და
- შესაძლებელია ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

მიმდინარე მოვალეობა მხოლოდ მაშინ არსებობს, როდესაც საწარმოს არა აქვს სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა იმისა, რომ გადაიხადოს ეს გასამრჯელოები.

კლასიფიკაცია

მომუშავეთა გასამრჯელოებს განეკუთვნება:

მომუშავეთა მოკლევადიანი გასამრჯელოები, მაგალითად: ხელფასები, საპენსიო შენატანები და ბიულეტენი, მოგების განაწილება და ბონუსები და არაფულადი დახმარებები (მაგალითად: სამედიცინო მომსახურება) არსებულ თანამშრომელთათვის;

3. მნიშვნელოვანი საადრიცხო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენენ მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე, მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებაზე მომავალ პერიოდში.

4. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
მარაგი	3,263,867	4,496,746

კომპანიის მარაგების უდიდეს ნაწილს წარმოადგენს დამუთავრებული მშენებლობა ასევე სამშენებლო მასალები.

მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს და დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად. თვითღირებულების განსაზღვრისათვის გამოიყენება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდი.

5. კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი, 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენდა 2,841,000 ლარს, რაც საანგარიშებო პერიოდის ბოლომდე უცვლელად დარჩა. კომპანიის აკუმულირებული ზარალი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეადგენდა 161,250 ლარს. 2023 წელს კომპანიამ მიიღო 508,141 ლარის მოგება და გასცა 346,891 ლარის დივიდენდი, რითაც 2023

წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას აკუმულირებული მოგება/ზარალი განულდა. ასევე 2024 წელს კომპანიამ მიიღო 656,700 ლარის მოგება, რაც მთლიანად გამოცხადებული დივიდენდებით დაიფარა.

ყოველივე ზემოთთქმულიდან გამომდინარე, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, კომპანიის კაპიტალი 2,841,000 ლარი, მთლიანად საწესდებო კაპიტალისგან შედგება.

6. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	149,016	58,998

კომპანიის სავაჭრო ვალდებულებები, სამშენებლო მასალების მომწოდებელ კომპანიებთან არსებული დავალიანებებისგან შედგება.

7. სესხები

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
მოკლევადიანი სესხები	255,276	1,407,716

კომპანიას უპროცენტო სესხები მიღებული აქვს პარტნიორებისგან, რომლის დაფარვაც მოხდება პარტნიორების გადაწყვეტილებით კომპანიის ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე.

8. ამონაგები

	2024 წელი	2023 წელი
ამონაგები	2,494,915	1,991,791

კომპანიას ამონაგები მიღებული აქვს ბინების რეალიზაციიდან

9. გაყიდული საქონლის თვითღირებულება

გაყიდული საქონლის თვითღირებულება	2024 წელი	2023 წელი
მარაგები	1,743,604	1,070,032
ბუნებრივი აირის ქსელზე მიერთების ხარჯი	68,220	-
შრომის ანაზღაურება	57,020	138,123
უსაფრთხოების ხარჯი	7,000	7,000
ელ. ენერგიის ხარჯი	-	185,509
წყლის ქსელზე მიერთების ხარჯი	-	17,712
სხვა პირდაპირი ხარჯები	-	24,422
ჯამი	1,875,844	1,442,798

10. გაუთვალისწინებელი ხარჯები, ვალდებულებები და ოპერაციული რისკები

სამართალწარმოება

საკუთარ შეფასებაზე და პროფესიონალურ რჩევაზე დაყრდნობით კომპანიის მენეჯმენტი არ ელოდება რაიმე სახის მატერიალურ დანაკარგებს მოთხოვნებთან დაკავშირებით შესაბამისად ფინანსურ უწყისებში რეზერვის აღიარება და შენიშვნების გამოქვეყნება არ მიიჩნია მართებულად.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ხშირად ექვემდებარება სხვადასხვანაირ განმარტებას და ცვლილებებს. მენეჯმენტის მიერ კანონის ინტერპრეტაცია, რომლის მიხედვითაც კომპანია საქმიანობს და ხელმძღვანელობს ტრანზაქციების გატარების დროს შესაძლებელია გახდეს შემოდავების საგანი საგადასახადო ორგანოთა მიერ. საქართველოს საგადასახადო ორგანოები კანონმდებლობის და გადასახადის დათვლის ინტერპრეტაციისას შეიძლება იღებდნენ უფრო კონკრეტულ და რთულ მიდგომას, ასევე შესაძლებელია, რომ ის ტრანზაქციები და ოპერაციები რაზეც წარსულში არ ყოფილა საგადასახადო ორგანოების მხრიდან დავა, მომავალში გახდეს დავის საგანი, რის შედეგადაც შეიძლება დაერიცხოს მნიშვნელოვანი მოცულობის დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტები.

კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მათი ინტერპრეტაცია სწორია და კომპანიის გადასახადი და სავალუტო კანონმდებლობა შენარჩუნდება შესაბამისად.

11. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია მსს ფასს სტანდარტით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

- (a) მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- (b) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- (c) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- (d) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- (e) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია(ა) ან (დ)-ში;
- (f) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- (g) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

კომპანიის არ აქვს ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან:

12. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 27 ნოემბერს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დასკვნის გამოშვებამდე სხვა მნიშვნელოვანი მოვლენები, რომლებიც არსებით გავლენას მოახდენდნენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე არ დაფიქსირებულა.